

ახალი

„მედნიერია ის, ვისაუ
სამშობლოსათვის უძგერს გული..“

განთიადი



განთიადი

85 წელი
თქვენთან
ერთად!

აღწერა

AxaliGantiadi@gmail.com

2016 წელი 30 ნოემბერი № 11 № 8116



მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში

გვ2.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

გვ2.



ღიასმორისა და კავკასიის საკითხთა
კომიტეტის თანამედროვე მოდელირად ირაკ-
ლი მუხარინიშვილი აირჩიეს

გვ2.

სათნოების კანონით

გვ5.

გვ2.

ახალი თათმა ახალ ღრტში

გვ7.

კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით

გვ2.



მისიური ორდენის 100 წლისთავი



“გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი”

გვ9.



... “ღუთაუბდივი სმანი” ჩვენს სიუბტეში

გვ5.

გვ3-4.


“რიცხოვრი” მცხეთას სეკუმბრობრას

გვ6.



გზბეთში მრისლორდეს სელორდებს რთო





მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა გოჩიაშვილი მოსახლეობის წინაშე 2013 - 2016 წლებში მუნიციპალიტეტში გაწეული სამუშაოების ანგარიშით წარდგა.

გამგებელმა დეტალურად ისაუბრა 4 წლის განმავლობაში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოციალურ პროგრამებზე და 2017 წელს დაგეგმილ სამუშაოებზე.

მოსახლეობას სიტყვით მიმართა შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა იოსებ ოქრომელიძემ, რომელმაც გამგებლის მიერ გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასა.

სიტყვით გამოვიდა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული, კასპის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები დაათვალიერა. 2014-2016 წელს ქალაქ კასპში სრული

ყო სასადილო ოთახები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სველ წერტილებს,

ყველა საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა. კასპის ბავშვების რეაბილიტაციაზე ჯამში 1 391 912 ლარი დაიხარჯა.

შესრულებული სამუშაოების შედეგად 2016 წელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საბავშვო ბაღში კასპში მცხ-



ბატონო ირაკლი!

ილბალს მინდობილმა ქართველებმა ყოველთვის იცოდნენ (ან იქნებ გრძნობდნენ), რომ არ არსებობს მოქმედება თავისთავად გამოთიშული გარემოდან და ჩვენი მორალური წარმოდგენებიდან, ამიტომ ზრუნავდნენ ერისკაცები მორალურ წარმოდგენათა დაწმენდასა და შესაბამის მდგომარეობამდე მიყვანაზე... საზოგადო ჭირი (თუ არ უგულვებელყოფდნენ!) ნათლად აჩენდა ენის, მამულის ცხოვრება-განვითარების ეტაპს. ისიც კარგად მოგეხსენებათ სარწმუნოების დაცვა ქართველობის დაცვას ნიშნავდა. ყოველივეს ერთობლიობა ქმნიდა ცხოვრების გზას, რომლითაც ერიც და ქვეყანაც ღმერთთან მიდიოდა... და დასაბამიდანვე იცოდნენ ხმა ღვთისა იყო ხმა ერისა.



თქვენ მხარდაჭერა გამოვიცხადეთ კასპის მუნიციპალიტეტის ამომრჩეველმა. მოვეცათ უნიკალური შანსი, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გაღებით გაამართლოთ ხალხის ნდობა. თუ საქმეს გულით მიუდგებით უმძიმესი ჯვრის ზიდავა მოგიწევთ. ვიტოვებთ იმედს, თქვენი გულითადობით, კაცადკაცური ბუნებით, განსწავლული ახალგაზრდის ჯიუტი სწრაფვით წარმატებისაკენ ყველა დანაპირებს რეალობად აქცევთ.

თქვენ შეგიძლიათ სასიამოვნოდ გაგვაოცოთ და დაგვიმტკიცოთ, რომ სწორი არჩევანი გააკეთა მოსახლეობამ.

გილოცავთ გამარჯვებას!

ნანა მერებაშვილი.



ღიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ირაკლი მეზურნიშვილი აირჩიეს

უფასო სკრინინგი



კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის ჯანდაცვის სამსახური ატარებს "ც" ჰეპატიტის უფასო სკრინინგს. უფასო სკრინინგი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკში ჩატარდა.

მიმდინარე სამუშაოები



გრძელდება სოფელ ხოვლის საჯარო სკოლაზე ახალი სასწავლო კორპუსის მიშენების სამუშაოები.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა 26 ბავშვს.

პროექტის ფარგლებში ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული საბავშვო ბაღის შენობები გარემონტდა, მოეწ-

ოვრები 1572-მდე აღსაზრდელი დადის, - მაშინ როცა 2013 წლამდე, მუნიციპალურ ამორტიზებულ ბავშვბაღებში მხოლოდ 1040 ბავშვი დადიოდა.

კლიმატის სვლილებათან დაკავშირებით



კასპის მუნიციპალიტეტის გამგებობაში პროექტი "კლიმატის ფორუმი აღმოსავლეთში - II" - ის ფარგლებში ეროვნული პოლიტიკის დიალოგზე მასალების მომზადება, ცნობადობის ამაღლება და საგანმანათლებლო საკითხების განხორციელება"- ის ფარგლებში, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები/ -საქართველომ შეხვედრა-სემინარი ჩაატარა.

გლობალური კლიმატის ცვლილებების, ზოგადი ასპექტების, კლიმატის გლობალური ცვლილება და საქართველო, შედეგების შერბილებისა

და შეგუებაზე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, განახლებადი ენერჯის ენერგოეფექტურობის შესახებ მსმენელებთან ისაუბრეს ავთანდილ გელაძემ და რუსუდან სიმონიძემ.

შეხვედრა-სემინარი კითხვა-პასუხის რეჟიმის ფორმატში მიმდინარეობდა. კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა გოჩიაშვილმა სემინარის მოდერატორებს მადლობა გადაუხადა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

პირველი ნომრის გამოსვლამდე

გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლას წინ უძღოდა მრავალი მოსამზადებელი სამუშაო. საქართველოს კასპის რაიკომში 1931 წლის პირველ ოქტომბერს შედგა თათბირი, სადაც განიხილეს რაიონული გაზეთის გამოშვების საკითხი. თათბირზე დაადგინეს სარაიონო მასშტაბით ნაბეჭდი გაზეთის გამოშვება.

გაზეთს უწოდეს "კომუნისტიკენ", რომლის პირველი ნომერი



1931 წლის 7 ნოემბერს, შაბათს გამოვიდა. გაზეთი იყო ოთხგვერდიანი, ღირდა 5 კაპიკი, ტირაჟი 2000 ცალი.

რედაქციას თავიდან საკუთარი სტამბა არ გააჩნდა, იგი იბეჭდებოდა გაზეთ "კომუნისტიკის" სტამბაში. საერთო ხელმძღვანელობას ადრეულ წლებში უწევდა გაზეთ "მუშის" სარედაქციო კოლეგია. ეს იყო საქართველოს კპ(ბ) კასპის რაიკომისა და რაიკომის ათლიური ორგანო. 1935 წლიდან 1955 წლამდე გაზეთი ორგვერდიანი იყო. 1956 წლიდან კი გაზეთი გადაკეთდა ოთხგვერდიანად. 1945 წელს გაზეთს მხოლოდ ორი საშტატო ერთეული ჰქონდა: რედაქტორი და პასუხისმგებელი მდივანი.

40-იან წლებში რედაქციას თავისი სტამბით ეკავა ორი ოთახი, სადაც ახლა მუზეუმი. იმ ადგილზე პირველ სართულზე იყო რედაქცია-სტამბა, მეორეზე მანქანა-ტრაქტორთა სადგური. საგაზეთო მასალები ხელით ეწობოდა. იმ დროს ასოთამწობები იყვნენ: ვა პავლიაშვილი, ვალერიან ტყემალაძე, მიხეილ შაველაშვილი, ნიკოლოზ ბასილაშვილი; მკინძავი მარტა მალცევა. 1961

წელს კასპში მოხდა სტამბის რეორგანიზაცია. 1962 წლის 29 აპრილიდან გაზეთის გამოშვება შეჩერდა. 1965 წელს კი სტამბის მოსაწყობად გიორგი ნიჟარაძე მოიწვიეს. მისი ინიციატივით შეიკრიბნენ სტამბაში ილია გორგაძე, ალბერტ შაველაშვილი, შოთა რევაზიშვილი, ჟუჟუნა საჩალელი.

1966 წელს ისევ განახლდა გაზეთის გამოცემა. 1967 წლის 11 თებერვლიდან გამოდის "განთიადის" სახელით.

ახალ სტამბაში გაზეთი "განთიადი" პირველად დაიბეჭდა 1981 წლის 17 დეკემბრის (№148) ნომერი. რედაქციაც ამავე შენობაში გადავიდა. მისამართი წერეთლის ქ. №5ა. ძველი მისამართი იყო პირველი მაისის ქ. №32.

მადლიერების გრძნობით უნდა გავიხ-



სენოთ განთიადის პირველი რედაქტორები, რომლებიც ჯერ არ აწერდნენ ხელს, შემდეგში კი უკვე ხელმოწერით ამცნობდნენ რაიონის ცხოვრებას მკითხველებს. ესენი იყვნენ:

- ალ. სილაგაძე,
- გრ. პაპავა,
- ნიკოლოზ გიორგის ძე ჩაღუნელი,
- შალვა შაველაშვილი,
- ივანე ბუზალაძე,
- ტიტე მეგინეიშვილი,
- ელიზა გულვერდაშვილი-გეგეშიძე,
- ვახტანგ ივანეს ძე ელისაბედაშვილი,
- ალექსანდრე ბეჟანიშვილი,
- გურამ ლეონიძეს ძე კლდიაშვილი,
- თამაზ შეშაბერიძე,
- თემურ ჟღენტინაძე მერევაშვილი.

წინასიტყვაობის მაგიერ...

ყველა საქმეში უმკაცრესი პრინციპი ზომიერებასა და სიმკაცრეს მოითხოვს, რადგან უმნიშვნელო, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ზედმეტობაც კი არღვევს მთლიანობას. ეს იციან მხოლოდ მათ, ვინც რაღაც უფრო მეტი იციან ცხოვრებაზე, ვიდრე ადამიანთა უმეტესობამ. ამ მიგნებას საგულისხმო და განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ემოციური საფუძველი აქვს.

ადრე თუ გვიან საზოგადოება აღიარებს იმ ადამიანების სწორად ცხოვრებას, რომელთა მთავარი თვისება პრინციპების ერთგულება და თანმიმდევრულობაა. ისინი სანამ არიან უმეტესად პატივისცემის მიღება რჩებიან. ასეთია ჩვენი არსებობის დიალექტიკა და ღირსეულ ადამიანთა არსებობის სინამდვილე.

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, ცხოვრება კი შესაბამისად უფრო მკაცრი საშოვარსგადაგებულ ქვეყანაში ქაფად ქცეულმა ლექსმა სეისმური სიმძლავრით გვაგრძობინა მნიშვნელოვანია ყოველი ქართველის პატიოსნება და პატრიოტიზმი. ისიც გვაგრძობინა, რომ სენტემენტები წარსულის კუთვნილება გახდა. იყო დრო, როცა კანონზე მნიშვნელოვანი მაგანთა ახირება გახდა და ყველამ თავის თავზე მოიგო სინამდვილე.

გაზეთის შინაურ თუ გარეულ მტერთან ბრძოლით დაკავებულები რამდენი წელია გაზეთის გადარჩენის კანონით ვცხოვრობთ. ვერაფერს იტყვიან, რომ ამ ბრძოლაში ოდესმე პირადულს გადაჰყვა სუფთა ხელებით ნაშენები

გაზეთში არსებობის სურვილი

სტრიქონები, ყვითელი პრესის მოთხოვნებიც წაგვიყენეს პროვინციულ სინამდვილეში, პარტიული და სახელმწიფო აზროვნების საზღვარიც ძნელად გაარჩიეს... ჩვენ კი ვიცოდით, რომ ყველა საქმეში უმკაცრესი პრინციპი ზომიერებასა და სიმკაცრეს მოითხოვს, რადგან უმნიშვნელო, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ზედმეტობაც კი არღვევს მთლიანობას, თანაც გაზეთში არასოდეს ჩერდება დრო.

წელს ჩემი პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი ნოდარ ტაბიძე გარდაიცვალა. ბატონმა ნოდარმა პირად საუბარში ინატრა - ისე არ მოგკვდე, სამცხეში ქართული უნივერსიტეტის გახსნას ვერ მოვესწრო.

ჩვენ რას ვნატრობთ ახლა? - საქართველოს გამოღიანებას! თურმე ცხოვრება დღენიდაც გვთავაზობს მოულოდნელ რეალობას.

ჩემი სტუდენტობის დროს, დამოუკიდებელ საქართველოზე ვოცნებობდით (დამიჯერეთ ეს ოცნება უფრო ფანტასტიკის სფეროდან იყო), მაგრამ აქერ 25 წელია, რეალობად იქცა.

ჩემი პროფესორის ოცნებაც ახლა, კიდევ კარგი. ჩემი თაობის საუკეთესო ნაწილის სიცოცხლე შეეწირა სამშობლოს დამოუკიდებლობას, ჩვენ ისევ ომში ვართ და დამოუკიდებელ ქვეყანაში დემოკრატიისათვის გვიწევს ბრძო-

ლა. ასეა, დიდი მოვლენები ჩვენს ცხოვრებაში მოულოდნელად იდებენ ბინას.

ყოველდღიურობაში თუ შეიძლება იყოს სიმართლე სწორედ ამ სიმართლეს ვემსახურებით ჩვენს სამშობლოში, რომლის აწმყო განსაკუთრებული 25 წელია ერთნაირად გვაფიქრებს წარსულსა და მომავალზე. იქნებ ამ ფიქრმა გადაგვარჩინა ქართველები.

ჟურნალისტიკას ერთი მნიშვნელოვანი სიკეთე აქვს, ძალიან ბევრ კარგ და ნაკლებად კარგ ადამიანთან გიწევს შეხვედრა. ამ ურთიერთობაში ხელშეშახებად საცნაურად იკვეთება თვისებათა წყება, რომელიც ძალიან სჭირდება ადამიანს განვითარებისა თუ გენებათ ცხოვრებაში წინასწარობის შესანარჩუნებლად.

უცნაურია, მაგრამ, როგორც ყოველდღესასწაულზე თურმე ასევე საიუბილეო დღეებშიც გზავჯვარედინზე შეჩერებული კაცის განწყობა შეიძლება გაგიჩნდეს, მაგრამ მხოლოდ განწყობა როგორც სინამდვილის გულით გარჩევის იარაღი და მეტი არაფერი.

მოულოდნელობებით სავსე ყოველდღიურობაში ჩვენი "განთიადის" არსებობა არ ყოფილა მზის სხივებით ნაფერები. და თუ სიმართლეს ვიტყვი განვიღვინო გზას რომ გადავხედავთ ჩვენ თვითონ გვიკვირს, როგორ არ შეწყდა გაზეთის გამოცემა, როგორ მოერგო ახალ რეალობას, როგორ გამოიარა ყველა თავსდატეხილი განსაცდელი... გაზეთი ხომ

ცოცხალი ორგანიზმია და, უნდა თუ არა, მაინც სარკესავით ირეკლავს დროს - რომელშიც "ცხოვრობს".

საერთო უმუქობა ყველას კარგად გვახსოვს. ქვეყანა ომში იდგა და შესაძლებლობის ზღვარზე გამოძვალა გაზეთი ლამის პირველი საათიდან - დილის შვიდ საათამდე ეწვობოდა. იმდენი სიხარული თქვენ, ჩვენო ძვირფასო მკითხველო, რამდენ ალიონსაც შეგებებია რედაქციის კოლექტივი. არასოდეს დავიღვინებ სტამბა-რედაქციის თავდადების მაგალითის გამოჩენით, მით უმეტეს, რომ გაზეთის შექმნისათვის ლამისთვეები წლები გრძელდებოდა. განსაკუთრებული მადლობა სტამბის თანამშრომლებს ლინოტიპისტს შოთა რევაზიშვილს, დამკაბადონებლებს ქეთევან თავგიაშვილს და ვარდიკო გუგულაშვილს. რომ არა მათი მოქალაქეობრივი პოზიცია, რომ არა მათი ერთგულება საქმისადმი, უმუქობის წლებში გაზეთი ვერ დაკაბადონდებოდა - ეს კი ჩვენი რაიონის თანამედროვე ცხოვრების ერთადერთი მემკვიდრის გაქრობას გამოიწვევდა. სხვათა შორის, თუ გადავხედავთ იმ დროის სტატისტიკას, რაიონულ გაზეთთა უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ალბათ, მათ არ ჰყავდათ ჩვენნაირი ერთგული სტამბელები და გულშემატკივრები. ეს რაც შეეხება სტამბას.

რედაქცია სიმბოლური ანაზღაურების ფასად ღამეებს უთენებდა "განთიადს." პროფესიული ღირსებით, მდგომარეობის ბოლომდე გაც

*დასასრული გვ4.



გაზეთში წიგნობის სივრცის აღდგენა

დასასრული.

ნობიერებით და უტყუარი კაცადკაცობის კანონის მორჩილი უურნალისტები წლების განმავლობაში რამდენ ალიონს შევხვდით ერთად. ყველაზე საგულისხმო კი ის გახლავთ, რომ ეს არც დავალებით ხდებოდა და არც შიშით – ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებდით და, რა თქმა უნდა, ვაგრძელებდით იმ გზას ათეული წლების წინ რომ დაიწყეს ჩვენმა წინამორბედმა განთიადელებმა.

წელს ჩვენს გაზეთს 85 წელი შეუსრულდა. ერთობ სიმბოლური წელი გამოდგა. სწორედ ასეთ დროს, ალბათ, აუცილებლად უნდა ითქვას მთავარი – ერთგული მკითხველის შემწეობითა და განსწავლული თანარაიონელების წყალობით გამოდიოდა გაზეთი, იქმნებოდა შიდა ქართლის ერთი კუთხის მატანე.

გაზეთის პირველი ნომერი 1931 წლის 7 ნოემბერს გამოვიდა. დაარსების თარიღი და სახელწოდებაც – “კომუნისტიკენ” სრულ ინფორმაციას იძლევა იმ დროისა და იმდროინდელი ფასეულობების შესახებ.

პირველი წლის ტირაჟი 2000-ით განისაზღვრა. თურმე, საერთო ხელმძღვანელობას თბილისის გაზეთი – “მუშა” უწევდა, იბეჭდებოდა “კომუნისტის” სტამბაში.

ბუნებრივია, ვერ შევძლებთ ყველა მუშაკის გახსენებას, მით უმეტეს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ათწლეულები სტამბა-რედაქცია თითქმის ერთი საფეხრალით ცხოვრობდა და გაზეთის გამოცემაში უურნალისტებზე არანაკლები წვლილი მიუძღვის რამდენიმე სტამბელს.

მეორე მსოფლიო ომიდან აღარ დაბრუნებულან გაზეთის რედაქტორი ნიკო ჩაღუნელი, ბულალტერი ვანო მეცხვარიშვილი, ასოთამწყობები არტემ ტყემალაძე და არჩილ შალუტაშვილი.

გაზეთის თავიდანვე საუკეთესო რედაქტორები დაებედა: ალ. სილაგაძე, გრ. პაპავა, ნიკოლოზ ჩაღუნელი, შალვა შაველაშვილი, ელიზა გულვერდაშვილი-გეგეშიძე, ივანე ბუნაძე, ვახტანგ ელისაბედაშვილი, ალექსანდრე ბეჟანიშვილი, გურამ კლდიაშვილი, თამაზ შეშაბერიძე, თემურ ჟღერტი.

გაზეთთან დამოკიდებულება ლაკმუსის ქალღღივით ააშკარავებდა რამდენად განსწავლული იყო რაიონის ხელმძღვანელი. ინტელიგენტი და წიგნიერი ხელმძღვანელის ხელში “განთიადის” შუქ-ჩრდილები მეტად მეტყველი იყო. მაგრამ ფაქტია, იყო პირიქითაც, ასეთ რეალობაში “სხვისი მახარებელი” გაზეთი თავად რჩებოდა ნორმალურ ყოფის გარეშე და უკეთესი დღეების იმედს არ კარგავდა.

ერთხელ, რაიკომში, კონფლიქტური სიტუაცია ირჩეოდა, აი ისეთი, ადამიანური და საზოგადო კანონების ვექტორი რომ არ ემთხვევა ხოლმე ერთმანეთს; სიტუაციის ტრაგიზმი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მშიშარა და ნაკლებგანსწავლულმა (რბილად რომ ვთქვათ!) სხივი არ მოაკლონ “განთიადს”, რომელიც ყოველცისმარე ახალია. განახლება კი სიცოცხლის აუცილებელი პირობა გახლავთ.



2016 წელი. ნოაბაბი. გაზეთის გამომცემის 85 წელი შეასრულდა

პირველმა პირმა (მდივანმა) ვერ მიიღო სწორი გადაწყვეტილება. უფრო ზუსტად კი უფროსმა უგულვებელყო სიმართლე, რადგან მტყუანი მომჩივანის ეშინოდა. მართლაც ინტელიგენტმა სამსახური დაკარგა და საკუთარი ღირსების გრძობით განაგრძო ცხოვრება (როგორც ხშირად ხდება). “დაზარალებულ” კოლეგას ვკითხე – ამ ყველაფერს ნუთუ არაფერი ეშველა მეთქი? გამიღიმა და აბსოლუტურად მშვიდმა მიპასუხა: უურნალს და გაზეთს თუ არ იციან როგორ მოექცნენ, ეს პირველ რიგში ისევ იმ გამოცემის ბრალია... ბევრს კი თავის დროზე “ტომ სოიერის თავგადასავალი” მაინც რომ წაეკითხა ჩვენთვისაც კარგი იქნებოდა... ის კაცი რედაქციიდან წავიდა, მისი წერილები დღემდე ასსოვთ და ხშირად მომისმენია მისი ციტირება. იმ საბედისწერო ხე-

ლმძღვანელების სახელი კი მხოლოდ ამ ამბით შეიძლება გაიხსენონ.

ასეა, ძვირფასო მკითხველო, კარგი გამგონის იმედით არსებობს გაზეთი, თუ კარგი მკითხველი არა გყავს “წერე და იკითხე!”

შინაურ თუ გარეულ მტერ-მოყვარესთან შეჭიდებული გაზეთი აგრძელებს თავის გზას. ეს ჩუმი სამსახური რაღაცნაირად ჰგავს სამშობლოს სიყვარულს. ყველაზე მძიმე წუთებშიც კი – წვეთ-წვეთ რომ იღვრებოდა საუკეთესო შვილების სისხლი, ხომ ყველას გვჯეროდა, რომ უკეთესი დღეები აუცილებლად დადგებოდა.

თქვენ რომ შეგეძლოთ მზის სხივი “შემოიტყუოთ” თქვენს ოთახში, სახლში, ქალაქში, ქვეყანაში – როგორ მოიქცევით? “განთიადელებსაც” ეს აერთიანებთ – ცდილობდნენ, ვცდილობთ, ეცდებიან სინათლე და მზის



2011 წელი. მარტო. სასტუმრო “ქორთიარდ მარტო”. გაზეთი “ანალი განთიადი” დაჯილდოვდა ღვენილი მონასტროვის პრემიისთვის და მხონარაბის გაზეთისთვის გამომცემის აქტიურობისა და მხარდაჭერისათვის.

სათნოების კანონით



ნოემბრის დასაწყისში კასპში ჩატარდა საქველმოქმედო აქცია, რომლის ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო ასოციაცია (თავმჯდომარე მაია კვეზერელი) "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" და კასპის მუნიციპალიტეტში მოქმედი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაცია (თავმჯდომარე დავით პარკაძე). თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ ღონისძიების ჩატარებას წინ უსწრებდა ძალიან შრომატევადი, მოსამზადებელი სამუშაოები... საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ გასული წლის აპრილის დასაწყისში კასპში დაფუძნდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანი გახლავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და მათი მკურნალობისათვის საჭირო სახსრების მოძიება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ადამიანების დასაქმება.

— საწყის ეტაპზე, რა თქმა უნდა, ახლადნამოყალიბებული ორგანიზაციისათვის ნამდვილად არ იყო მარტივი საქმიანობის წარმართვა და დონორებთან ნდობის მოპოვება, — განმარტავს ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით პარკაძე, — აი, სწორედ ამ დროს აღმოჩნდნენ ჩვენს გვერდში მდგომი ადამიანები გივი მანძულაშვილი და ზურაბ კავაზაშვილი, რომელთა დახმარებითა და ფინანსური ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა აღწერა, აკრედიტება, აგრეთვე სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. ერთი სიტყვით, მოვახერხეთ და დავაფინანსეთ ორი ცერებრალური და სამი ონკოლოგიური ბენეფიციარის როგორც მედიკამენტური, ასევე ინდივიდუალური მკურნალობა. ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უწყებამ გაიარა ჰუმანიტარული ორგანიზაციის "ელ დი ჩერთის" და საერთაშორისო ასოციაცია "ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის" ეტლის სწორად მორგების სერთიფიცირება. სწორედ ამის საშუალებით მოხერხდა, რომ კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 38 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს გადაეცა მათთვის სწორად მორგებული ეტლები, ხოლო მათი ოჯახის წევრებს ტანსაცმელი. იმ დღიდან მოყოლებული, რაც ეს არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს, ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, მათ შორის, განხორციელდა ფრიად საყურადღებო პროექტი, სწორედ მისი მეშვეობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 6 პირი შეისწავლის უძველეს ტრადიციულ ხელსაქმეს / შინ დასაქმების პროექტი / სხვათა შორის, აი, ამ შინ დასაქმების პროექტმა გაიმარჯვა ფინეთის ფონდ "აბილის" — ის საგრანტო კონკურსზე და როგორც ვარაუდობენ მომავალ წელს აღნიშნული სოციალური საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია გავაროვორც ადგილობრივ ასევე, მსხვილ ბაზარზეც.

ფენომენალური ხელოვანი, სალამურის ლეგენდა, ქართული ფოლკლორის პოპულარიზატორი, საქართველოს სახალხო არტისტი ომარ კელაპტრიშვილი თავისი გასაოცარი შემოქმედებით ათეული-ასეული წლების შემდეგაც მოაჯადოებს ხალხური საკრავების მოტრფიალე მსმენელს. ჭეშმარიტი მუსიკოსის მოღვაწეობა სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაში. მან პირველმა კლასიკურ დონეზე აიყვანა, გაამრავალფეროვნა და შემდეგ მსოფლიოს გააცნო ხალხური ინსტრუმენტების (სალამური, დუდუკი) სამემსრულებლო ხელოვნება... დიდი მამსტროს შემოქმედებითი მოღვაწეობა კავთისხევიდან დაიწყო, დიახ, მის მშობლიურ კავთისხევეში, იქ, სადაც ახლა ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი, სტუმარი არ ილევია... სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული მუსიკოსის ომარ კელაპტრიშვილის სახლი / გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული / ქართველ ხელოვანთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მუდმივი თავშეყრის ადგილი იყო.

— "გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ომარის კავთისხევის სახლი ისტორიული მნიშვნელობისაა, — განაცხადა ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში საქართველოს სახალხო არტისტმა, ანსამბლ "რუსთავის" ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა, — ამ სახლში იმართებოდა

... "ღვთაებრივი ხმანი" ჩვენს სიუბტყეში

წლებია, ფუნქციონირებს ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმი, რომელიც ანდამატივით იზიდავს ქართული სულიერების, ხელოვნებისა და კულტურის მოტრფიალე ადამიანებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, ცნობილ სახეებს. აქ ხშირად ეწყობა კულტურული ღონისძიებები, საინტერესო შეხვედრები მწერლებთან და პოეტებთან, თეატრალურთან... სულ ახლახან კი, სახლ-მუზეუმს ქართული



საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პოეტი ერეკლე საღვლიანი ეწვია. ამ საინტერესო შეხვედრის ინიციატორი და ხელშემწყობი გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება / დირექტორი გივი მელაძე / და რასაკვირველია, ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობა. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ კავთისხევის საჯარო სკოლის უფროსკლასელი

თემაზე შექმნილი რამდენიმე ლექსი... პოეტმა სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცა ბოლოდროინდელი ლექსების კრებული "მამარირა" — წარწერით "ღვთაებრივი ხმანი მსჭვალავდნენ ჩვენს სივრცეს".

შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ ანსამბლ "თეატრონის" მომღერლები: ლელა გოლიაძე / ანსამბლის ხელმძღვანელი /, ლიკა ბარბაქაძე, მარიამ გოლიაძე, ხათუნა

ბა და ტრადიციული გახდება, — განაცხადა სტუმრებთან შეხვედრისას მთავარმა მასპინძელმა ციმი კელაპტრიშვილმა, — ამ მიმართულებით დაგეგმილია ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის განხორციელებას ვერაფერი შეუშლის ხელს, ამის თქმის საფუძველს მაძლევს ადგილობრივი ხელმძღვანელობის მუდმივი მხარდაჭერა და თანადგომა. ამიტომ გადავწყვიტეთ მუზეუმში მოვიწვიოთ მწერლები, საზოგადო მოღვაწე ადამიანები, ქართული კინოს და თეატრის ცნობილი სახეები და რასაკვირველია, ამ შეხვედრების აქტიური მონაწილენი იქნებიან კავთისხეველი მოსწავლეები და ახალგაზრდები.

პოეტთან შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა გონიჭაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრი ირაკლი მეზურნიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩაღუნელი.

ღონისძიების ბოლოს შეხვედრის მონაწილეებს, მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისა და მხარდაჭერისათვის გულითადი მადლობა გადაუხადა მუსიკოსის ვაჟმა ომარ / უმცროსი / კელაპტრიშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.



ეროვნული შეხვედრები, აქ იკრიბებოდნენ ქართული კულტურის კორიფეები, რომლებიც ქმნიდნენ საქართველოს კულტურის ისტორიას, ეს არ გახლდათ უბრალო შეხვედრები, აქ იყო მსჯელობა ფოლკლორზე, სამშობლოს სიყვარულზე, მუსიკასა და ხელოვნებაზე".

არადა, რაოდენ ნიშანდობლივი და საცნაურია, რომ კავთისხევეში

მოსწავლეები და პედაგოგები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები.

პოეტმა ერეკლე საღვლიანმა შეხვედრაზე გაიხსენა ომარ კელაპტრიშვილთან გატარებული წლები, ვრცლად ისაუბრა მუსიკოსის შემოქმედებაზე, მოეფერა კავთისხეველ მოსწავლე-ახალგაზრდობას, შემდეგ კი, ჩვეული შემართებით წაიკითხა პატრიოტული

ჭაკნელიძე, რუსუდან ტომარაძე, მაია ხაჭაპურიძე, ნინო მამულაშვილი, რომლებმაც ფანდურის თანხლებით შეასრულეს სახალხური სიმღერები.

— მინდა იცოდეთ, რომ კავთისხევის სახლში ხელოვანთა სტუმრობა, ერთგვარი სალონური შეხვედრები, რომელიც მუსიკოსის სიცოცხლეშივე ეწყობოდა, ახლა უკვე სახლ-მუზეუმში განახლდ



“დიდგორი” მცხეთის სკოლის მოსწავლეები



სვეტიცხოვლობის სახალხო დღესასწაულზე უძველეს ქალაქ მცხეთაში მიწვეული იყო კასპის მუნიციპალიტეტის ბავშვთა სახალხო სანიმუშო ცეკვის აკადემია “დიდგორი”/მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფები დარინა პაპაშვილი და სოსო ღვინიაშვილი /, რომელმაც მაყურებელი ამჯერადც მოხიბლა, ის კი არა, მცხეთობაზე მოსული სტუმრები, განსაკუთრებით კი უცხოელი ტურისტები “დიდგორის” ულამაზეს გოგო-ბიჭებთან, უფრო მეტად კი, პაწაწინა მოცეკვავეებთან სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ, მისამართებს ცვლიდნენ, სახელოვანი ანსამბ-

ლი სახალხო დღესასწაულზე წარდგაოთხი ცეკვით: “ფრესკა”, “რაჭა ჩემი სიყვარულია”, “ქართლ-კახური” და “ჩენური”...
— წლევიანდელ სვეტიცხოვლობას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული სტუმრების გარდა ესწრებოდნენ ჩვენს ქვეყანასთან დაძმობილებული 6 უცხოური სახელმწიფოს წარმომადგენლები, — განაცხადა “დიდგორის” სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთევან მონასელიძემ, — სხვათა შორის, ჩვენი ანსამბლი მცხეთაში მიწვეული იყო დღესასწაულის სახეიმო



კონცერტში მონაწილეობის მისაღებად და ეს მიპატიჟება მივიღეთ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტიდან, ამიტომ ბუნებრივია, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ნამდვილად ვგრძნობდით. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენმა გამოსვლამ სრული ანშლაგით ჩაიარა, მოცეკვავეებმა ნამდვილად გვასახელეს.

ამ სასიხარულო ფაქტთან დაკავშირებით ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებამ კასპის მუნიციპალიტეტს მადლობა გადაუხადა: “ანსამბლი “დიდგორი” გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო ტექნიკით და საინტერესოდ დადგმული ქორეოგრაფიული კომპოზიციებით, — ნათქვამია მადლობის წერილში, — და მისი მონაწილეობა სახეიმო კონცერტში ნამდვილად საამაყოა. მადლობას ვუხდით ანსამბლის სრულ შემადგენლობას მაღალი პროფესიონალიზმისა და მრავალწლიანი თანამშრომლობისათვის.
რ. ქართლელიშვილი

ვისთვის იყო წარმატებული 2016 წელი



კასპის პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა ანა ნაროზაშვილმა მართლაც რომ ასახელა საყვარელი სკოლა, ოჯახი, ქალაქი, წელს მან დიდი ხნის ნანატრი ოცნებაც აიხდინა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და თან სახელმწიფოსგან ასპროცენტის დიპლომს მიიღო... მიზანდასახული ახალგაზრდის წარმატება ნამდვილად არ გაპკვირვებით მის პედაგოგებსა და თანატოლებს, რადგან ანა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სწავლითა და ყოფა-ქცევით, აქტიურობით. აკადემიური მოსწრებისათვის ჯერ კიდევ მეცხრე კლასის დამთავრებისას მან პრეზიდენტის საჩუქარი, პერსონალური კომპიუტერი მიიღო, მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის სხვა მისი თანატოლების მსგავსად, ანა ნაროზაშვილს კასპის მუნიციპალიტეტის საგანწამახალისებელი ჯილდო, ათასი ლარი და სამახსოვრო სიგელიც გადაეცა... მოკლედ, ახლა უკვე დედაუნებრ სიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ანა ნაროზაშვილი დიდი სიყვარულით იხსენებს სკოლის დღეებს, დღე შთაბეჭდილებებს და მოკრძალებით ეხმიანება თანაქალაქელებს...

წამიყვანეთქი... აი, სკოლაში მისვლის პირველი დღე კი, სულ სხვა შთაბეჭდილებებთან იყო დაკავშირებული, საქმე ის გახლავთ, რომ სკოლამ ჩემს მესხიერებაში ღრმა კვალი დატოვა, რა ვქნა, გაზვიადებული არ გეგონოთ, მინდა თამამად განვაცხადო, რომ პირველსკოლელობა მესახელეობდა... სკოლაში მისვლამდე დედის დახმარებით დავუფულე წერა-კითხვას, ვიცოდი ცოტაოდენი ანგარიშიც, აგრეთვე, არ მიჭირდა ლექსების სწავლა და დახეპირება, მაგრამ სიღრმისეული ცოდნისა და განათლების მიღებაში სკოლამ გადამწყვეტი როლი შეასრულა, ისიც მინდა გულახდილად ვაღიარო, რომ ადრეულ წლებშივე ვზრუნავდი რაც შეიძლება ბევრი წამეკითხა... ვინ მოთვლის, რამდენ სასკოლო კონკურსბაც მიიღო... მიზანდასახული ახალგაზრდის წარმატება ნამდვილად არ გაპკვირვებით მის პედაგოგებსა და თანატოლებს, რადგან ანა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სწავლითა და ყოფა-ქცევით, აქტიურობით. აკადემიური მოსწრებისათვის ჯერ კიდევ მეცხრე კლასის დამთავრებისას მან პრეზიდენტის საჩუქარი, პერსონალური კომპიუტერი მიიღო, მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის სხვა მისი თანატოლების მსგავსად, ანა ნაროზაშვილს კასპის მუნიციპალიტეტის საგანწამახალისებელი ჯილდო, ათასი ლარი და სამახსოვრო სიგელიც გადაეცა... მოკლედ, ახლა უკვე დედაუნებრ სიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ანა ნაროზაშვილი დიდი სიყვარულით იხსენებს სკოლის დღეებს, დღე შთაბეჭდილებებს და მოკრძალებით ეხმიანება თანაქალაქელებს...

ალბათ, არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ გამორჩეულად მიყვარს ჩემი პატარა ქალაქი კასპი, სადაც დავიბადე და გავიზარდე... მართალია, ძალიან პატარა, საშიწლის ვიქნებოდი, მაგრამ დღესაც ცხადად მასსოვს პირველი მოგონება, როდესაც დედამ საბავშვო ბაღში მიმიყვანა, შეშინებული, თვალცრემლიანი შევეყურებდი, ვეძუდარებოდი აქნუ დამტოვებ, შინ

წინარეხის საჯარო სკოლაში



წინარეხის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა საინტერესო, შინაარსიანი პროექტი დაგეგმეს და წარმატებითაც განახორციელეს, სხვათა

შორის, ეს სახეიმო, კულტურული ღონისძიება შემოდგომის გაცილებას მიუძღვნეს... კონცერტის მომზადებაში მთელი სკოლა მონაწილეობდა, პროგრამაში

იყო ცეკვები, სიმღერები, სახალისო ყოფითი სკეტჩები. წინასწარ ლამაზად მორთეს სცენა, მოეწყო მოსწავლეების ნახატების გამოფენა, ბავშვებმა მოამზადეს პატარა-პა-

ტარა ლიტერატურული წარმოდგენები როგორც მშობლიურ, ასევე ინგლისურ ენაზე. აქტიურობდნენ დაწყებითი კლასების ბავშვები: ლუკა ლეკიშვილი, სანდრო ახვლედიანი, ელენე ხუტაშვილი, ნია ქეშელაშვილი, მარიამ კახურაშვილი, რატი მუხიგულაშვილი, გიორგი ფილია, ემზარ კანდელაკი, ლია ახვლედიანი, მარიამ ლეკიშვილი, ზურაბ მჭედლიშვილი, მერე, პატარებს უფროსკლასელებიც დაეხმარნენ, რომელთა შორის იყვნენ გიორგი ბერბიჭაშვილი, ანი ქეშელაშვილი, გიორგი ნადირაშვილი, ანი დემურჩიანი, ნინო ასპანიძე, ნინო მჭედლიშვილი, მარიამ მუხიგულაშვილი. საკონცერტო პროგრამა მთლიანად მოამზადა ინგლისური ენის მასწავლებელმა ნატო მერე-ბაშვილმა, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდნენ დაწყებითებისა /ნინო დათუაშვილი და მარიამ მარჯანიძე / და მუსიკის /იზა ჩაკვეტაძე / მასწავლებლები.

მიუხარიათ ბავშვებსა და მათ მშობლებს, პედაგოგ-მასწავლებლებს კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში და ეს განწყობა, ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც მოსწავლეთა სახლი კეთილმოწყობილ, გალამაზებულ და ახალი ინვენტარით უზრუნველყოფილ "ბინაში დასახლდა," ერთიორად გაიზარდა ბავშვთა კონტინგენტი.

წელს, აპრილის დასაწყისში მოსწავლეთა სახლის აღსაზრდელებმა დიდი ზეიმი გამოთქეს, რომელიც ახლად გარემონტებულ, ყველაფრით უზრუნველყოფილი სახლის პრეზენტაციას მიეძღვნა და რასაკვირველია, ზეიმზე სტუმრებიც მიიპატიჟეს...

— არადა, უნდა გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ მოსწავლეთა სახლს მართლაც მდიდარი, ძალიან საინტერესო ისტორია აქვს, — საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ლელა პეტრიაშვილი, — ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ფუნქციონირება ამ უწყებამ და მის კედლებში მრავალი თაობა აღიზარდა. მერე კი, ათწლეულების შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, ეს ავარიული შენობა (მაშინ მას, რა თქმა უნდა, ერქვა პიონერთა და მოსწავლეთა სახლი) დიდხანს ელოდა მშველელს. რა აღარ გადაეცინათ, არ გვეჩვენა ელექტროენერგია, წყალი, გათბობა და უმძიმეს პირობებში ბავშვებსაც აღარ მოუწევდათ გული. ერთი სიტყვით, მეტი კონკრეტული ნამდვილად აღარ არის საჭირო და უნდა ითქვას, რომ ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა გოჩიტაშვილმა და ყველაფერი რაც ახლა მოსწავლეთა სახლს გააჩნია მისი უშუალო ხელშეწყობითა და დახმარებით მოხერხდა. მოსწავლეთა სახლის სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებს აქტიურ დახმარებას უწევდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებების განათლების, კულტურის, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე და თუ არა მათი მონდომება და უდიდესი ძალისხმევა, ვინ იცის, როდემდე მოგვიწევდა ავარიულ და მოძველებულ შენობაში ყოფნა.

ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ოცი დასახელების საგნობრივი და სახელოვნებო წრე ფუნქციონირებს, მათ შორის: ქართული ენისა და ლიტერატურის (წრის ხელმძღვანელები მანანა ყაბანაშვილი, ნინო აფციაური), ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის (წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი), ნორჩ შემოქმედთა (წრის ხელმძღვანელი მარინე ნაკელიშვილი), ხელგარ-

ჯილობის (წრის ხელმძღვანელი ნანა ბაინდურაშვილი), ჭრაკერვის (წრის ხელმძღვანელი მალინა გურგენაშვილი), ინგლისური ენის (წრის ხელმძღვანელი თამაზა დვალისი), გიტარის შემსწავლელი (წრის ხელმძღვანელი ნინო ქენქაძე), სიმღერისა და გალობის (წრის ხელმძღვანელი ლალი კალატიანი), ფოლკლორის (წრის ხელმძღვანელი თამარ რუსიშვილი), ქარგვის (წრის ხელმძღვანელი ლელა პეტრიაშვილი), თეატრალური (წრის ხელმძღვანელი ლიანა მენაბდიშვილი), ხმისა და მუსიკის პროგრამული ტექნოლოგიების



(წრის ხელმძღვანელი ქართლოს ხორგუაშვილი), სამოქალაქო განათლების (წრის ხელმძღვანელი ქეთევან გეჯაძე), უმცროსკლასელთა კლუბი (წრის ხელმძღვანელი ნათია მარქარაშვილი), სატვის (წრის ხელმძღვანელი მარიამ თათრიშვილი), მხატვრული ტანვარჯიშის (წრის ხელმძღვანელი ნუნუ სუსუნიაშვილი), ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის (წრის ხელმძღვანელი ნუნუ ყიფიანი), რუსული ენისა და ლიტერატურის (წრის ხელმძღვანელ-

აქვს ცენტრალური გათბობა/სახლში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მრავალფეროვანი განსასწავლო და სააღმზრდელო პროცესი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბავშვების აქტიურობა, კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში ჩართულობა დღითიდღე უფრო შესამჩნევი და ეფექტური გახდა. საქმე ის გახლავთ, რომ გარდა წრეობრივი მუშაობისა, ბავშვები დიდი ერთუზიანობითა და მონდომებით მონაწილეობენ სას-



ბი ნინო მერებაშვილი, მაკა სუხაშვილი).

მნიშვნელოვანი გახლავთ ის გარემოება, რომ ჩამოთვლილ წრეებში სწავლებას უფასოა, ნებისმიერ მოსწავლეს, რომელსაც გააჩნია სათანადო უნარი, ნიჭი, სურვილი და მიდრეკილება, შეუძლია გაერთიანდეს სასურველ წრეში და გახდეს მოსწავლეთა სახლის წევრი.

— მომავალი თაობის, მოსწავლე-ახალგაზრდობის

წავლო შემოქმედებით კონფერენციებში, რომელსაც ყოველწლიურად ატარებს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. კასპელი მოსწავლეები, ახალგაზრდები ყოველ კონფერენციაზე თვალსაჩინო შედეგებს აღწევენ და ბუნებრივია, გამორჩეული უნართა და ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები საქართველოს მასშტაბით გამართულ შემოქმედებით პაექრობაში პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებს

ახალი თაობა ახალ ძრტში

ჩამოყალიბება უპირველესი საზრუნავია, ამიტომაც არ მიკვირს, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ პირად კონტროლზე აიყვანა მოსწავლეთა სახლში შექმნილი ვითარება და უმოკლეს დროში მოხერხდა ამ პრობლემის მოგვარება, — განაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა, — და ახლა უკვე პატარა, მაგრამ ყველაფრით უზრუნველყოფილ /



იდებენ... მაგალითად, სულ ახლახან თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა ახალგაზრდა ფოლკლორისტთა მე-18 შეკრება, სადაც მიწვეული იყო კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. სხვათა შორის, თბილისში გამართულ ფოლკლორისტთა შეკრებაზე კასპელი ბავშვები ორიგინალურად გამოვიდნენ, მათ წარადგინეს ზღაპარი და ეპიტაფიები, რომლის ავტორ-შემგროვებელია მოსწავლეთა სახლის ქართული ენისა და ლიტ-

ენციის მონაწილე ბავშვების დაჯილდოება...

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეებისათვის კეთილმოწყობილი თავშეყრის ადგილი: იქნება ეს მოსწავლეთა სახლი, ახალგაზრდული კაფეთუ სკოლის შენობაში მოწყობილი სადისკუსიო კლუბი გაცილებით დიდ დატვირთვას ატარებს, ვიდრე დედაქალაქში მოქმედი ანალოგიური ადგილები. კომპიუტეროზაციის ეპოქა, რა თქმა უნდა, გვთავაზობს შესაბამის ინოვაციებსაც - მათი



ერატურის წრის წევრი დავით მალაფერიძე, ხოლო თემის ხელმძღვანელი გახლდათ პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი. კასპელი მოსწავლის, დავით მალაფერიძის ნაშრომმა დაიმსახურა დიპლომი, ხოლო მის პედაგოგს გადაეცა მადლობის ბარათი, ისიც ითქვას, რომ უახლოეს დღეებში სახეიმოდ აღინიშნება რესპუბლიკური კონფერ-

გათავისება და დანერგვა კი სწორედ ახალგაზრდებთან ერთად უნდა ხდებოდეს. დროის გამოწვევები რამდენად სწორად იქნება მიღებული იმდენად გამართლებული იქნება მოსწავლეთა მუშაობა, შედეგს კი დრო გამოაჩენს.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.



“ო, აფხაზეთო!”



ახლანან გამოიცა აფხაზეთის მკვიდრის, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის მურმან კვარაცხელიას წიგნი “ო, აფხაზეთო”, –



სადაც სულისშემძვრელად არის გადმოცემული უდიდესი სევდა და ტკივილი, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია... მიწა-წყლის დაკარგვით გულმოკლული ავტორი თავის წიგნში მკითხველს მოუთხრობს იმ უძვივარ სულიერ განცდებსა და წარსულის ნოსტალგიაზე, რომელიც გამოწვეულია საქართველოს ძირძველი მიწის, მისი უღამაზესი ნაწილის, აფხაზეთის დაკარგვით. აუღელვებლად, უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ სტრიქონებს, რომლითაც მურმან კვარაცხელია ესაუბრება მის მშობლიურ ოდაბადებულ “ჩასახლებულ” აფხაზს: “ყველა ოჯახს აქვს თავისი ისტორია, რომელიც იდუმალი ხელით იწერება სახლის კედლებზე. ამიტომ შენ რაც უნდა გააკეთო, მაინც ჩვენი მატთანე

გიყურებს ყოველი კუთხიდან, მაგ კერი-ისათვის უცხო ხარ! შენი ოჯახის ისტორია იმ მაღლით ვეღარ დაიწერება, არ მიგიღებს, არ შეგითვისებს, ფუძის ანგელოზი ვერ გადმოგხედავს ლოცვით, მას ყოველთვის თავისი ძირძველი პატრონი მოუნატრება. ჩემი სულის გამონაჟონი მანდა, დრო-ჟამი ვერაფერს დააკლებს, ვერც შენ მოერევი, ვერ წაშლი... ჩემი სახლის მერცხლები ვერასოდეს შეგიფვარებენ ჩემსავით, რადგან ისინი ჩემთან ერთად წამოვიდნენ სახლიდან სამუდამოდ... აფხაზო, ეგ ადგილები შეიძლება შენთვის მხოლოდ ჩვეულებრივი საცხოვრისია, მაგრამ ჩემთვის საკრალური სიწმინდეა, ნაკრძალია, “ჩემი საკუთარი ემბაზია”, რომელმაც აღმზარდა...”

ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ამ წიგნს და სათანადოდაც შეაფასებს. ამ წიგნის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი გამოიჩინეს კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის



/პედაგოგი ნანა მერებაშვილი/ მოსწავლეებმა და მათი ინიციატივითა და მონაწილეობით დაიგეგმა საინტერესო პროექტი, კერძოდ, მოსწავლეებმა წიგნის ავტორი მურმან კვარაცხელია და წიგნის რედაქტორი მათა გელიაშვილი კასპში მოიწვიეს...

პრეზენტაციამდე დედაქალაქიდან მოსულმა სტუმრებმა დაათვალიერეს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი /ღირექტორი გიორგი ჩაღუნელი/, შემდეგ კი, სტუმრებმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გადაინაცვლეს, სადაც შეიკრიბნენ მოსწავლეები და მათი მშობლები, მოწვეული სტუმრები... შეკრებილ საზოგადოებასა და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა. შემდეგ კი, მოსწავლეებმა: მიხეილ სამხარაძემ, მარიამ კაციაშვილმა, ქეთი ჭალისურმა, მათა თაბუაშვილმა, ლუკა სანაძერაშვილმა, ანა ბაისონაშვილმა, თამარ გოჭოშვილმა, ლუკა და მარიამ მერებაშვილებმა, მარიამ და ლაშა თინიკაშვილებმა, სალომე სამხარაძემ, ანზორ დალაქიშვილმა, ლუკა კორნელია და თემურ ირემაშვილმა ზეპირად წაიკითხეს ამონარიდები წიგნიდან “ო, აფხაზეთო”, რომელსაც წიგნის ავტორი მურმან კვარაცხელია კმაყოფილებითა და მოწონებით შეხვდა.

წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგე-

ბელი გონა გონიჭაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯ-



დომარე გიული სოზიაშვილი... მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პატარა დარბაზში იგრძნობოდა ძალიან თბილი, სასიამოვნო განწყობა და შეხვედრას კიდევ უფრო აკეთილშობილებდა “აფხაზური ნანინას” ჰანგები, მოსწავლეების სახელით წიგნის ავტორს მურმან კვარაცხელიას საჩუქრად გადაეცა წიგნი “კასპის ისტორია,” ხოლო თავად პატონმა მურმანმა ავტოგრაფით, კეთილი სურვილებით უსახსოვრა თავისი წიგნები აქაურებს... ეს ლამაზი, შინაარსიანი და დასამახსოვრებელი შეხვედრა დასრულდა ცნობილი ქართველი მწერლის შოთა ნიშნიანიძის ლექსით “აფხაზური კანტატა” და ლოცვით, რომ დედასაქართველოს დაუბრუნდეს ძირძველი ქართული მიწა, წართმეული აფხაზეთი.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

“განთიადიან” ერთად 50 წელი

ჩემი საყვარელი გაზეთი “ახალი განთიადი” ლამაზი უბილესი აღნიშნავს. მას სოვს მისი რედაქცია-სტამბის რამდენიმე მისამართი, მას სოვს ხელით აკრეფილი შრიფტები, ლინოტიპზე ჩამოსხმული “ცხელი” სტრიქონები, კომპიუტერის საოცრებანი... გაზეთმა ტრასფორმაციის რთული პროცესი გაიარა; საბუნდოვანად, ღირსეულ რედაქტორთა მთელი კოპორტაც დაეხელა... ერთხელ აღებული კურსი კი უცვლელია დღემდე; დგას ცხოვრების შუაგულში,

მოვლენათა ეპიცენტრში, სიცოცხლის მარჯვენა მხარეზე მდებარეული ჩვეული ერთგულებით გვიფიქსირებს რაიონის მატანეს. ჩემი პირველი სტატია “განთიადში” 1966 წელს დაიბეჭდა, ასევე ჩემი პირველი ლექსებიც “ყინვისი” და “პოეზიას”, რომლებიც შემდეგ რამდენიმე კოლექტიურ კრებულში შევიდა (“ღირსეული რვეული”, “კაბადონი”, “კასპელთა პოეზია”) ... 25 წელია, რაც ყოფილ “განთიადს”, ახლა “ახალი განთიადი” რომ ჰქვია, რე-

დაქტორობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ნანა მერებაშვილი. მისი რედაქტორობის წლებში გაზეთი წარმატებით ასრულებს თავის დანიშნულებას. თუნდაც ის ფაქტი, რომ ფინანსური თუ სხვა მიზეზებით ბევრმა რაიონულმა გაზეთმა დიდი ხანია შეწყვიტა არსებობა, ჩვენი კი ღირსეულ სიჭარბავეს “მოესწრო”, რედაქტორის ერთგულებაზე, პროფესიონ-

ალიზმსა და საქმის დიდ სიყვარულზე მეტყველებს!.. “ახალი განთიადის” 85 წლისთავი ლამაზი საიუბილეო თარიღია; მივულოცოთ ეს თარიღი მის ყველა თანამშრომელს, შტატგარეშე კორესპონდენტებს, რომლებიც წლობით, უპრობორადოდ ბეჭდავენ ინფორმაციებს და ყველა ერთგულ მკითხველს! ეზეიმოს გაზეთის საუკუნოვანი იუბილეს, წარმატებები და ერთგული მკითხველი უმრავლოს! თამარ გაბოძე.

ამ დღეებში კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა თემატური საღამო სახელწოდებით "გაგიჟება

“გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი”



სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი”, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის გაერთიანება... როგორც მოსალოდნელი იყო, თემატურ ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ლიტერატორები, ქართული ლექსისა და პროზის თავანისმცემლები, სტუდენტები, მოსწავლეები და ახალგაზრდები.

ლიტერატურული ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის გაერთიანების ღონისძიებების ორგანიზატორმა ლია მენაბდიშვილმა, რომელმაც თავის საინტერესო წილსვლაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა “ცისფერყანწელთა” შექმნის ისტორიაზე, ამ ლიტერატურული მიმდინარეობის მნიშვნელობასა და საერთოდ გასული საუკუნის ოციანი წლების ქართულ მწერლობასა და ლიტერატურაზე... მისივე თქმით პირველი ქართული დაჯგუფება, რომელმაც სრულიად გათვითცნობიერებულმა დაგმო ქართული მწერლობის მიერ გაკვალული ლიტერატურული გზა, უარყო სოციალურ-პოლიტიკური

იდეალები (ეროვნული შეინარჩუნა) და “წმინდა ხელოვნების” მსახურება, ქართული მწერლობის “სოფლიოს რადიუსით” გამართვა მოიწადინა – “ცისფერ ყანწელთა” ჯგუფი გახლდათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ლიტერატურული ჯგუფი – “ცისფერყანწელთა” ანუ როგორც თავად მოიხსენიებდნენ “ცისფერი ორდენი”, 1925-1916 წლების მიჯნაზე შეიქმნა ქალაქ ქუთაისში. ჯგუფის სახელით მათ პირველბეჭდურ ორგანოს, ალმანახ “ცისფერყანწებს” უკავშირდებოდა /პირველი ნომერი გამოიცა 1916 წლის 28 თებერვალს, რედაქტორი პაოლო იაშვილი / “ცისფერყანწელთა” ჯგუფმა ნოვატორობისაკენ სწრაფვით, შინაური ინტიმით, უნარგო მეგობრობით, ორგანიზაციული მთლიანობით, ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი სიტამამით, დასაბუთებული იდეურ-ესთეტიკური სისტემითა და შესაბამისი პოეტური პროდუქციით განიმტკიცა მდგომარეობა... “ცისფერყანწელთა” ისტორია არის ისტორია ბოჰემის”, – წერდა ტიციანი

ტაბიძე “მეოცნებე ნიამორებში” 1923 წელს. მოკლედ, ოციანი წლების დასაწყისისათვის “ცისფერყანწელთა” ძირითად უარყვეს მკრეხელური გამოხდომები ქართული მწერლობის მიმართ, ახალგაზრდული ეპატაჟი, ეფექტური ფრაზებით ჟონგლირობა წარსულს ბარდებოდა. 1923 წლიდან დაიწყო ჯგუფის “მიწასთან დაბრუნება”, “ცისფერი ორდენი” ფაქტობრივად 1924 წელსვე მინავლდა-ველარ “დაუბრუნდა მიწას”... ეს ცალკეულმა “ცისფერყანწელთა” მოახერხეს ტრადიციულ პოეზიასთან დაბრუნებით, თუმცა ამ ლექსთა უმეტესობა ტოლს არ უდებდა ბოჰემური პერიოდის პოეზიას – “ცარციტი კი არა, სისხლით რომ წერდნენ”, წერდა ტიციანი.

აი ასეთი საინტერესო შესავლის შემდეგ კიდევ უფრო ყურადღები გახლდათ თემატურ საღამოზე ორ ნაწილად წარმოდგენილი ლექცია-საუბარი, “ცისფერყანწელთა” შემოქმედება: 1) სიმბოლიზმი და მსოფლიო ლიტერატურა, /ლია მენაბდიშვილი /, 2) სიმბოლიზმი

საქართველოში- “ცისფერყანწელთა”, /ლია სოზიაშვილი/. და კიდევ ერთი, ძალიან აქტუალური თემა “ელენე დარიანი”, რომელმაც ღონისძიების მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დიანა ხორბალაძემ... ბუნებრივია, “ცისფერყანწელთა” პოეზიის განხილვას თანახლდა დეკლამატორთა გამოსვლაც, ამ მხრივ კი დიდი მოწონება დაიმსახურა მეოთხე საჯარო სკოლის მოსწავლის ნათია მისურაძის გამოსვლამ, მან წაიკითხა გოგლა ლეონიძის “ბარბაროსული ელენეა”. საინტერესო გამოსვლა ჰქონდა მეოთხე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გულო გიგაურს. გალაკტიონის ცნობილი ლექსი “ქუჩაში, მტვერში...” წაიკითხა მუნიციპალიტეტის სახელმწიფო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა. ლექსები წაიკითხეს მათ ქარქუსაშვილმა, ხათუნა ბახუაშვილმა, ირმა გზირიშვილმა, ციცინო ქენჭაძემ, თეა ბადაშვილმა, მათ მარჯანიძემ, ეკა კიტრიაშვილმა, თათია ლომინაძემ, ეკა კუსრაშვილმა.

თემატურ საღამოს სტუმრობდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, ესწრებოდნენ მოსწავლეები: რიმა მჭედლიშვილი, ხატია ბალხაშიშვილი, ლიკა გამხიჯაშვილი, ნათია მისურაძე. შეხვედრის ბოლოს თემატური ღონისძიების ორგანიზატორებსა და მომხსენებლებს, სტუმრებს მობრძანებისათვის მადლობა გადაუხადა კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის გაერთიანების დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა. ბოლოს კი ღონისძიების წამყვანმა ლია მენაბდიშვილმა გააუღერა ფრიად საგულისხმო იდეა, – იმასთან დაკავშირებით, რომ იუნესკოს მიერ 2016 წელი გამოცხადებულია შოთა რუსთაველის წლად, ჩატარდეს ვიქტორინა “ ვინ უკეთ ვიცი ვეფხისტყაოსანი” რომელსაც ყველა მოწონებით შეხვდა.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის გაერთიანება.



გამორჩეული

სკოლის მოსწავლე ნინო წერეთელმა მოკრძალებულად შემოალო რედაქციის კარი. ოლიმპიადის გამარჯვებული ახალ შესარჩევ ტურში 500 მოსწავლიდან აირჩიეს და ინგლისში კემბრიჯის კოლეჯში მიემგზავრებოდა ... მის თავმდაბლად ნაამბობშიც კი კემბრიჯი ჯადოსნურად მიმზიდველად ისმოდა.

კასპის სკოლა-გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა. ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პირველ-მეორე კურსზე გამოცდებში მიღებული შეფასების რეიტინგით უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველ სამეულში მოხვდა და სახელობითი სტიპენდია დაენიშნა.

მონაწილეობდა სხვადასხვა პროექტში, ინტერნეტში აქვეყნებდა ნამუშევრებს, პერმანენტულად მრავალი სერტიფიკატის მფლობელიც ხდებოდა, საინტერესო ნამუშევრის გამო რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტიდან მიიღო მიწვევა ...

2013 წლის 13 ივლისს დაოჯახდა... და მამინ, როცა ყველაზე ბედნიერი იყო, უკურნებელმა სენმა თავისი ცვლილებები შეიტანა მის ცხოვრებაში. მისი განათლების ადამიანს ვინ რას გამოაპარებდა...

სიკვდილზე არასოდეს საუბრობდა... სახლში გამორჩეული ყვავილების მოშენება დაიწყო, ხატავდა ჯერ გრაფიკულ ნახატებს, შემდეგ აკვარელში, გუაშში, ხეთში ...

სულ 23 წლის იყო, ბევრი მოასწრო და გაცილებით მეტის შესაძლებლობა ჰქონდა... ბოლო წუთამდე სიყვარულით ცხოვრობდა... მისი სიყვარულის ამბავი უკვე იქცა ჩვენი ქალაქის დაუვიწყარ ლეგენდად. ურთულეს სინამდვილეშიც კი როცა შეიძლება ფიზიკურად გაქრე, შეიძლება ულამაზეს მოგონებად დარჩე.

ნინო წერეთლის ყოველი წარმატება გვიხაროდა როგორც ჩვენი ქალაქის განათლებული თაობის უბრწყინვალესი წარმომადგენლის ღირსეული აღიარება და სულმოუთქმელად ველოდებოდით ახალ გამარჯვებებს. თვითონ ნინო ვეაიძულებდა რომ მას ავადობა ვერ მოერეოდა... ან კი ვიცი რა უჯდებოდა 23 წლის გოგონას ცხოვრება, წონასწორობის შენარჩუნება. ჩვენ ყველას ის დინჯად მოსაუბრე გავხსოვს. გავხსოვს მისი სიმშვიდე, ცხოვრების წესი და სიცოცხლისათვის ღმირით გადახდილი საზღაური.

სამწუხაროდ, მისი ცხოვრების ბოლო 3 წელი უჩინარი ომი იყო ბედისწერასთან, სწულებასთან.

ნინო იცოდა, რომ “მატერია, რომლისგანაც ჩვენ შევდგებით და ყოველი საგანი ჩვენს ირგვლივ არ არის მყარი და ურღვევი, რომ იგი პირიქით, მერყევა და ფუჭდება”. ბოლო შეხვედრისას მისგან მოსმენილი ეს თეზა უკანასკნელ იმედად მომესმა, მერე კი მივხვდი მყარი, ურღვევია მშვენიერება და მე იმ დღეს ეს ვიგრძენი, ისე როგორც არასდროს.

მრავლის მხახველ რედაქციაში ძნელია გამორჩეულად დაგიმახსოვრონ და შეგიყვარონ, ნინო ეს შეძლო.

ნანა მერებაშვილი.



წავშვევო!

კარგა ხანია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინაობებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურდათ!) რომ გააზრონ.

თქვენ ახლა უფრო ბევრი იწოდებით შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავო ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ სანაშევო მუზეუმებსა და ატრაქციონებს, ნყალქვეშა სასახლეებსა და ჭერ ვერ აღმოჩენილ სანაშევოებს

მორბანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს.
მომავალ შეხვედრამდე! სიყვარულით „აკეხურა“



„სხალი გზნითაძი“ იძებს საინტერესო სურათებს რაიონის სავაჭრო ოცობა-მეცნიერების შესაქმნელოვარ. თხოვნით მიუძღროთ თანაშრომელებს - რაცოვოთ თქვინი ყვლოი ზეინს მეცნიერებში! გამოვიგზავნოთ საინტერესო რა სხალიოცო ოცობები!

სპორტი ჩემპიონ-პრიზიორებს შემოგოვანა დაითვლიან

ვლელუს, ბრაზილიაში გამართული ოლიმპიადის შემდეგ, იქ ქართველი მოჭიდავების მიერ ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით, თითქმის ყველა სახეობის ნაკრებში გადახალისდა მწვერთნელთა შემადგენლობა. ეს არ შეეხო მხოლოდ სამბოს სანაკრებო

გრამი). კვარცხლბეკზე ამჯერად მესამე პრიზიორობამდე ჩამოიდა აბლა. აი, 27 წლის ზვიად ოლოშაშვილმა კი, თავის სპორტულ კარიერაში, ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება „გამოაცხო“: იგი პირველად შედგა მსოფლიო ჩემპიონატის კვარცხლბეკის - III საფეხურზე! აქვე დავაკონკრეტებთ, რომ მან ფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა დათმო რუს ილია ხრულოვთან, რომელიც, რიგორც ჩანს, ყველასაგან უძლეველია, და აკი მეხუთედ დაისაკუთრა ოქროს მედალი. ერთიცაა, ზვიადმა ევროპული წარუმატებლობის შემდეგ (ქ. ყაზანში უმეღლოდ დარჩა, ოლონდ, მაშინდელი დამარცხებისათვის ახლა რევანში აიღო აზერბაიჯანელ მეტო-

„ბრინჯაოს ბიჭების“ ბუქარესტულ მონაგარს ვულცავთ მათ ყველა გულშემატკივარსა და, უპირველესად, პირად მწვერთნელს - ნუგზარ მამულაშვილს!
... წლის ბოლომდე კიდევ ორიოდე შეჯიბრებაში გამოვლენ ჩვენებური წარმატებული სამბოელები, როგორც საქართველოს გარეთ, ისე საშინაო ხალიჩაზე. უმთავრესია ასპარეზობა დეკემბერში - საქართველოს პირველობაზე. ასეთივე დამავიჯივინებელი, უპირველესი შეჯიბრება ექნებათ დიუდოისტებს: თბილისურ ტატამზე ქვეყნის ყველა უძლიერესი მოჭიდავე გამოვანოებრის ბოლოს. მათ შორის იქნებიან ოლიმპიელებიც, ვინც მეტ-ნაკლებ წარმატებას მიაღწია ბრაზილიურ რიო-დე-ჟანეიროში და ისინიც, ვინც მათ არ უდებს ტოლს. დე, ქვეყანამ დაინახოს, ვინ რა ბიჭია!



გუნდს, რადგანაც, მოგესვენებთ, ეს სახეობა ოლიმპიადის პროგრამაში შეტანილი არაა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, ნაკრების თავკაცობა (მთავარი მწვერთნელი - ვლენდო მუხაშვილი) გეგმაზომიერად აგრძელებს დასახულ მუშაობას. აი, ქართველმა სამბოელებმა მიმდინარე სეზონი რეზონანსული მიღწევით გაასრულეს და ეგაა; თვალსაჩინო პარალელისათვის ვიტყვით, რომ ევროპის პირველობაზე 7 მედალი ირგუნეს (სინჯების მიხედვით: 3+2+2), ახლახან კი ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) მსოფლიო გათამაშებაში - ერთით მეტი, ოლონდ, შეიცვალა ოქრო-ვერცხლ-ბრინჯაოს შეფარდება (2+1+4).



ქესთან) ნამდვილად შემართებით იჭიდავა და როგორც თვითონ გვითხრა სატელეფონო საუბარში, - სამომავლოდ თითქოს ახალი სუნთქვა გაეხსნა და არც ნაკრებ გუნდში აპირებს თავის წონაში (62 კილოგრამი) ადგილის დათმობას! „ფეისბუქის“ გვერდზე ვინც ფრიად გაზარებული მწვერთნელ-შეგირდის - მუხაშვილ-ოლოშაშვილის - ტანდემი ნახა, დაგვერწმუნება ქვემოთ ნათქვამში: პრიზიორობა ზოგჯერ ჩემპიონობაზე მეტია!

... სანოეზრო მცირე მიმოხილვაში უთუოდ უნდა შევეხეთ კასპელი კარატისტების წარმატებულ გამოსვლას ქ. ბათუმში, ევროპის პირველობაზე. კასპელები ორი საკლუბო გუნდით გავიდნენ. მათმა მწვერთნელებმა ალექსანდრე მანძულაშვილმა და დავით დლაქიშვილმა პირველი ადგილები დაიკავეს და პირადი მაგალითი მისცეს შეგირდებს: მათ წილად მოდის რამდენიმე პირველი და მეორე-მესამე ადგილი.
ა. კალანდაძე.

ცხადია, კასპელ დაინტერესებულ გულშემატკივარს აინტერესებს, როგორია თანამემამულეთა წილი საერთო მიღწევათა ყულაბაში. სასიამოვნოა, რომ სათქმელი წონადა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კვლავაც კარგად ნაცნობი გვარების მოხმობა დაგვეჭირდება: 26 წლის ევროპის ჩემპიონმა, ბექა ბერძენიშვილმა (+100 კილო-

შ.პ.ს. „ზაიდელბერგსემენტ ჯორჯიას“ ქასპის ხემენის ქარხანა ახსნაღებს ჰაქანსიღს

შ.პ.ს. „ზაიდელბერგსემენტჯორჯიას“ ქასპის ცემენტის ქარხანა ახსნაღებს ვანსიღებს შემდეგ თანამდებობებზე:
1. ხონოდების გამგოხებელი (ქავთისხევის ეხიქვის ქაიიიი),
2. ჰოიზონტადეიი ეონვეიიის ოპეიხატოიი (ქავთისხევის ეხიქვის ქაიიიი),
3. ექსეავატოიის ოპეიხატოიი (ქავთისხევის ეხიქვის ქაიიიი),
4. აღმიიხევედ - ოპეიხატოიი (ქავთისხევის ეხიქვის ქაიიიი),
5. თბომავის ოპეიხატოიი.
გთხოვთ, ნაიომადგინოთ თქვინი ხეიემე ადამიანეიი ხეხეხების მაიოთვის დეპაიხატმენტში ა/ნის 7 დეემბიის ჩათვლით შემდეგ მისამაიოზე:
ქ. ქასპი, ფაიხავაზის ქ.№2.
E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

გამოიბწეროთ „სხალი გზნითაძი“ რა გზნით ზეინი მეიოზველო!

მოიხსენა, უფლო, სოლი პიკავდ ბარდამავაღბულთა შოგავლთა, ქათა და დათა ჩავთო და ყოვალთა სოკიილთა ნათესავთა ჩავთო და შენდევნე ყოველი შოღვანი მათი ნახსიოთი და უნებლითი, და მიანიქე მათ სანუზავლი მათა და მკიიერაყვანი იიიიი სოკავთოთა ქათილთა შენთა და ჩჩავლთა შენთა შეილთა თანა.

ქასპის №4 სოქარო სოქლის პავამოიიური სოქლავ-ბიიიი მენუარავით იუნევაბა, რომ ბარდამავალა სოქლის ყოქიიი ნარჩინეზული მოსნავლა ნინო ნეკათელი და სოქიიარს უხსნაღებს ბანსევენეზულის ოქანს.

შ.პ.ს. „ბანიი ნივარიივილის“ ქასპის სოქლავ-ბიიიი ნინის ქარსდამთავრავლავი ღრბა მენუარავით იუნევაბინა, რომ ბარდამავალა თანავალანელი ნინო ნეკათელი და სოქიიარს უხსნაღებს ბანსევენეზულის ოქანს.

უფანი მოსიიავიიი ოქანით ღრბა მენუარავით იუნევაბა, რომ ბარდამავალა ნინო ნეკათელი და სოქიიარს უხსნაღებს ბანსევენეზულის ოქანს.

ნანი მარავავიიი ოქანით ღრბა მენუარავით იუნევაბა, რომ ბარდამავალა ნინო ნეკათელი და სოქიიარს უხსნაღებს ბანსევენეზულის ოქანს.

ზორა ბუნბური ოქანით ღრბა მენუარავით იუნევაბა, რომ ბარდამავალა ნინო ნეკათელი და სოქიიარს უხსნაღებს ბანსევენეზულის ოქანს.

ანოორ ბანბაქა ოქანით ღრბა მენუარავით იუნევაბა, რომ ბარდამავალა ნინო ნეკათელი და სოქიიარს უხსნაღებს ბანსევენეზულის ოქანს.

რუსულან ნეჩავიიი ოქანით ღრბა მენუარავით იუნევაბა, რომ ბარდამავალა ნინო ნეკათელი და სოქიიარს უხსნაღებს ბანსევენეზულის ოქანს.

რედექციამში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ
გაზეთი იბეჭდება გამოქვეყნება „ქოქოქი“

რედაქციი სელმეკვანელოზ თაიისუფალი პარისი პრიმეიიავით. სგაიიის პეპოქის აზრი, შესაქლოა არ ეთხევიოღან რედაქციის პარს. მოგანილი შავავიის სიზუსტეა პასუნსეგავალია პეპოქი. სარედაქციო მასაღებიისა და ბანსევენეზულის შინაარსზე რედაქციი პასუნს არ ებეზს. რედაქციის ნეგართიის ბარავი მასაღების გამოქვეყნება იქრავლავა.

რედაქციო ნანი მარავავიიი
რედაქციის მისაქართი: 2600 ქ ქასპი სოქიიარს ქ. № 68 ქელოქიიონი 22-25-76